

NOSACQ-50-
Georgian 2024

# პროფესიული უსაფრთხოების კლიმატის ჩრდილოევროპული კითხვარი



მოცემული კითხვარის მიზანია თქვენი შეხედულების გაგება ამ სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების შესახებ. თქვენი პასუხები კომპიუტერით კონფიდენციალურად დამუშავდება. გამოკითხვის ინდივიდუალური შედეგების რაიმე ფორმით საჯაროდ წარმოდგენა არ მოხდება. მართალია, ჩვენ გვინდა, რომ ყველა შეკითხვას უპასუხოთ, თქვენ უფლება გაქვთ ნებისმიერ ცალკეულ შეკითხვაზე, შეკითხვების ჯგუფზე, ან მთლიან კითხვარზე პასუხის გაცემისგან თავი შეიკავოთ.

| | |
|---|---|
| წავიკითხე კითხვარის შესავალი ნაწილი და თანახმა ვარ, კითხვარი აღნიშნული პირობების მიხედვით შევავსო | ☐ დიახ |

კითხვარი შემუშავებულია სამუშაო გარემოს სპეციალისტთა ჩრდილოევროპული სამუშაო ჯგუფის მიერ, ჩრდილოეთის ქვეყნების მინისტრთა საბჭოს ფინანსური მხარდაჭერით



## თქვენი პასუხების აღნიშვნის მაგალითები

| | | კატეგორიულად არ ვეთანხმები | არ ვეთანხმები | ვეთანხმები | სრულიად ვეთანხმები | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | თითოეული შეკითხვის გასწვრივ მხოლოდ ერთი X მონიშნეთ | | | | |
| I | ხელმძღვანელობა დასაქმებულებს მოუწოდებს, რომ უსაფრთხოების წესების დაცვით იმუშაონ - მაშინაც კი, როდესაც სამუშაო გრაფიკის ვადები შემჭიდროებულია | ☐ | ☐ | ☒ | ☐ | სწორად მონიშნული |
| ii | ჩვენ, აქ მომუშავენი, უსაფრთხოების წესებს ვარღვევთ იმისათვის, რომ სამუშაო დროულად დავასრულოთ | ■ | ☐ | ☐ | ☒ | შესწორებული მონიშვნა |

თუ X-ს არასწორ უჯრაში მონიშნავთ, უჯრა მთლიანად გააფერადეთ და ახალი X სწორ უჯრაში მონიშნეთ

# ზოგადი ინფორმაცია

**A** დაბადების წელი? 19 |___|___| 20 |___|___|

**B** თქვენი სქესი ☐ მამრობითი ☐ მდედრობითი

**C** გიკავიათ თუ არა ხელმძღვანელის თანამდებობა, მაგ. მენეჯერის, ზედამხედველის? ☐ არა ☐ დიახ. რომელი?

________________________

**ქვემოთ მოცემულ განყოფილებაში, გთხოვთ აღწეროთ, თქვენი შეხედულებით, როგორია ამ სამუშაო ადგილზე მენეჯერებისა და ზედამხედველების მიდგომა უსაფრთხოების საკითხების მიმართ.** მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი შეკითხვა შეიძლება ერთმანეთს ძალიან წააგავდეს, გთხოვთ, უპასუხოთ თითოეულ მათგანს.

| | კატეგორიულად არ ვეთანხმები | არ ვეთანხმები | ვეთანხმები | სრულიად ვეთანხმები |
|---|---|---|---|---|
| | თითოეული შეკითხვის გასწვრივ მხოლოდ ერთი X მონიშნეთ | | | |
| 1. ხელმძღვანელობა დასაქმებულებს მოუწოდებს, რომ უსაფრთხოების წესების დაცვით იმუშაონ - მაშინაც კი, როდესაც სამუშაო გრაფიკის ვადები შემჭიდროებულია | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2. ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს, რომ ყველამ მიიღოს უსაფრთხოების შესახებ საჭირო ინფორმაცია | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 3. ხელმძღვანელობა თვალს ხუჭავს ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ვინმე უსაფრთხოებას დაუდევრად ეკიდება | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 4. ხელმძღვანელობა უსაფრთხოებას წარმოებაზე წინ აყენებს | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 5. როდესაც სამუშაო გრაფიკის ვადები შემჭიდროებულია, ხელმძღვანელობა უშვებს დასაქმებულების მხრიდან რისკიან ქმედებებს | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 6. ჩვენ, აქ მომუშავენი, დარწმუნებულები ვართ, რომ ხელმძღვანელობას შესწევს უსაფრთხოების უზრუნველყოფის უნარი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი შეკითხვა შეიძლება ერთმანეთს ძალიან წააგავდეს, გთხოვთ, უპასუხოთ თითოეულ მათგანს

| | კატეგორიულად არ ვეთანხმები | არ ვეთანხმები | ვეთანხმები | სრულიად ვეთანხმები |
|---|---|---|---|---|
| | თითოეული შეკითხვის გასწვრივ მხოლოდ ერთი X მონიშნეთ | | | |
| 7. ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს, რომ უსაფრთხოების შემოწმებისას/შეფასებისას აღმოჩენილი უსაფრთხოების პრობლემები დაუყოვნებლივ აღმოიფხვრას | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 8. რაიმე რისკის შემჩნევისას, ხელმძღვანელობა მას უგულებელყოფს და არ ახდენს რეაგირებას | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 9. ხელმძღვანელობას არ აქვს საკმარისი უნარი უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს სათანადოდ გაუმკლავდეს | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 10. ხელმძღვანელობა ისწრაფვის, რომ შეიმუშაოს უსაფრთხოების მნიშვნელოვანი და ეფექტური პროცედურები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 11. ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს, რომ ყველას შეეძლოს, ზეგავლენა იქონიოს საკუთარი სამუშაო გარემოს უსაფრთხოებაზე | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 12. ხელმძღვანელობა მოუწოდებს დასაქმებულებს მონაწილეობა მიიღონ იმ გადაწყვეტილებების მიღებისას, რომლებიც ზეგავლენას ახდენს მათ უსაფრთხოებაზე | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი შეკითხვა შეიძლება ერთმანეთს ძალიან წააგავდეს, გთხოვთ, უპასუხოთ თითოეულ მათგანს

| | კატეგორიულად არ ვეთანხმები | არ ვეთანხმები | ვეთანხმები | სრულიად ვეთანხმები |
|---|---|---|---|---|
| | თითოეული შეკითხვის გასწვრივ მხოლოდ ერთი X მონიშნეთ | | | |
| 13. ხელმძღვანელობა არასოდეს ითვალისწინებს დასაქმებულების რჩევებს უსაფრთხოებასთან დაკავშირებით | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 14. ხელმძღვანელობა ისწრაფვის, რომ სამუშაო ადგილზე ყველა მომუშავეს ჰქონდეს მაღალი კომპეტენცია უსაფრთხოებისა და რისკების საკითხებთან დაკავშირებით | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 15. უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას, ხელმძღვანელობა დასაქმებულებს არასოდეს ეკითხება მათ აზრს | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 16. ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს დასაქმებულების ჩართულობას უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი შეკითხვა შეიძლება ერთმანეთს ძალიან წააგავდეს, გთხოვთ, უპასუხოთ თითოეულ მათგანს

თითოეული შეკითხვის გასწვრივ მხოლოდ ერთი X მონიშნეთ

| | კატეგორიულად არ ვეთანხმები | არ ვეთანხმები | ვეთანხმები | სრულიად ვეთანხმები |
|---|---|---|---|---|
| 17. უბედური შემთხვევების გამოძიებისას ხელმძღვანელობა ზუსტ ინფორმაციას აგროვებს | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 18. ხელმძღვანელობის მხრიდან სასჯელის (რაიმე სახის უარყოფითი შედეგის) შიში დასაქმებულებს იმის სურვილს უკარგავს, რომ განაცხადონ ისეთ ინციდენტებზე, რომლებიც შეიძლება უბედური შემთხვევით დასრულებულიყო | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 19. ხელმძღვანელობა უბედური შემთხვევის ყველა მონაწილეს ყურადღებით უსმენს | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 20. როდესაც უბედური შემთხვევა ხდება, ხელმძღვანელობა ეძებს მიზეზებს და არა დამნაშავეებს | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 21. უბედური შემთხვევების დროს ხელმძღვანელობა ყოველთვის დასაქმებულებს ადანაშაულებს | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 22. ხელმძღვანელობა უბედურ შემთხვევაში მონაწილე დასაქმებულებს სამართლიანად ეპყრობა | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

**ქვემოთ მოცემულ განყოფილებაში, გთხოვთ აღწეროთ, თქვენი შეხედულებით, როგორია ამ სამუშაო ადგილზე დასაქმებულთა მიდგომა უსაფრთხოების საკითხების მიმართ**

| | | კატეგორიულად არ ვეთანხმები | არ ვეთანხმები | ვეთანხმები | სრულიად ვეთანხმები |
|---|---|---|---|---|---|
| | | თითოეული შეკითხვის გასწვრივ მხოლოდ ერთი X მონიშნეთ | | | |
| 23. | ჩვენ, აქ მომუშავენი, ერთად გულმოდგინედ ვცდილობთ, რომ უსაფრთხოების მაღალ დონეს მივაღწიოთ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 24. | ჩვენ, აქ მომუშავენი, საერთო პასუხისმგებლობას ვიღებთ იმაზე, რომ სამუშაო სივრცე ყოველთვის მოწესრიგებული იყოს | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 25. | ჩვენ, აქ მომუშავენი, ერთმანეთის უსაფრთხოებაზე არ ვზრუნავთ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 26. | ჩვენ, აქ მომუშავენი, თავს ვარიდებთ აღმოჩენილი რისკების აღმოფხვრას | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 27. | ჩვენ, აქ მომუშავენი, ერთმანეთს უსაფრთხოდ მუშაობაში ვეხმარებით | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 28. | ჩვენ, აქ მომუშავენი, არ ვიღებთ პასუხისმგებლობას ერთმანეთის უსაფრთხოებაზე | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი შეკითხვა შეიძლება ერთმანეთს ძალიან წააგავდეს, გთხოვთ, უპასუხოთ თითოეულ მათგანს

| | კატეგორიულად არ ვეთანხმები | არ ვეთანხმები | ვეთანხმები | სრულიად ვეთანხმები |
|---|---|---|---|---|
| | თითოეული შეკითხვის გასწვრივ მხოლოდ ერთი X მონიშნეთ | | | |
| 29. ჩვენ, აქ მომუშავენი, მივიჩნევთ, რომ რისკების თავიდან აცილება შეუძლებელია | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 30. ჩვენ, აქ მომუშავენი, მივიჩნევთ, რომ მცირე უბედური შემთხვევები ჩვენი ყოველდღიური სამუშაოს ნორმალური ნაწილია | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 31. ჩვენ, აქ მომუშავენი, მივიჩნევთ, რომ სახიფათო ქმედება მისაღებია, თუკი ამას არ მოჰყვება უბედური შემთხვევა | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 32. ჩვენ, აქ მომუშავენი, უსაფრთხოების წესებს ვარღვევთ იმისათვის, რომ სამუშაო დროულად დავასრულოთ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 33. ჩვენ, აქ მომუშავენი, არასოდეს ვუშვებთ რისკიან ქმედებას, მაშინაც კი, როდესაც სამუშაო გრაფიკის ვადები შემჭიდროებულია | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 34. ჩვენ, აქ მომუშავენი, მივიჩნევთ, რომ ჩვენი სამუშაო მშიშრებისთვის შეუფერებელია | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 35. ჩვენ, აქ მომუშავენი, მივიჩნევთ, რომ მუშაობისას სარისკო ქმედება მისაღებია | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი შეკითხვა შეიძლება ერთმანეთს ძალიან წააგავდეს, გთხოვთ, უპასუხოთ თითოეულ მათგანს

| | კატეგორიულად არ ვეთანხმები | არ ვეთანხმები | ვეთანხმები | სრულიად ვეთანხმები |
|---|---|---|---|---|
| | თითოეული შეკითხვის გასწვრივ მხოლოდ ერთი X მონიშნეთ | | | |
| 36. თუ ვინმე უსაფრთხოების პრობლემაზე მიუთითებს, აქ მომუშავეები ვცდილობთ გამოსავლის პოვნას | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 37. ჩვენ, აქ მომუშავენი, თავს უსაფრთხოდ ვგრძნობთ ერთად მუშაობისას | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 38. ჩვენ, აქ მომუშავენი, ძალიან ვენდობით ერთმანეთის მიერ უსაფრთხოების უზრუნველყოფის უნარს | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 39. ჩვენ, აქ მომუშავენი, საკუთარი გამოცდილებით ვსწავლობთ, რათა თავიდან ავიცილოთ უბედური შემთხვევები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 40. ჩვენ, აქ მომუშავეებს, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ერთმანეთის აზრი და რჩევები უსაფრთხოების შესახებ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 41. ჩვენ, აქ მომუშავენი, უსაფრთხოებაზე იშვიათად ვლაპარაკობთ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 42. ჩვენ, აქ მომუშავენი, ყოველთვის განვიხილავთ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პრობლემებს, როდესაც მსგავსი პრობლემები თავს იჩენს ხოლმე | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 43. ჩვენ, აქ მომუშავეებს, თავისუფლად და ღიად შეგვიძლია ვილაპარაკოთ უსაფრთხოებაზე | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი შეკითხვა შეიძლება ერთმანეთს ძალიან წააგავდეს, გთხოვთ, უპასუხოთ თითოეულ მათგანს

| | კატეგორიულად არ ვეთანხმები | არ ვეთანხმები | ვეთანხმები | სრულიად ვეთანხმები |
|---|---|---|---|---|
| | თითოეული შეკითხვის გასწვრივ მხოლოდ ერთი X მონიშნეთ | | | |
| 44. ჩვენ, აქ მომუშავენი, მივიჩნევთ, რომ შრომის უსაფრთხოების კარგი სპეციალისტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს უბედური შემთხვევების თავიდან აცილებაში | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 45. ჩვენ, აქ მომუშავენი, მივიჩნევთ, რომ უსაფრთხოების შემოწმება/შეფასება არ მოქმედებს უსაფრთხოებაზე | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 46. ჩვენ, აქ მომუშავენი, მივიჩნევთ, რომ უსაფრთხოების ტრენინგები სასარგებლოა უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 47. ჩვენ, აქ მომუშავენი, მივიჩნევთ, რომ უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად წინასწარი დაგეგმვა უსარგებლოა | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 48. ჩვენ, აქ მომუშავენი, მივიჩნევთ, რომ უსაფრთხოების შემოწმება/შეფასება ხელს უწყობს სერიოზული საფრთხეების გამოვლენას | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 49. ჩვენ, აქ მომუშავენი, უსაფრთხოების ტრენინგებს უსარგებლოდ მივიჩნევთ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 50. ჩვენ, აქ მომუშავენი, მნიშვნელოვნად მივიჩნევთ მკაფიოდ განსაზღვრული მიზნების არსებობას უსაფრთხოების სფეროში | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

შეგიძლიათ აქ დაწეროთ, თუ თქვენს პასუხებზე რაიმეს დამატება გსურთ, ან თუ რაიმე კომენტარი გაქვთ კვლევასთან დაკავშირებით.

კომენტარები:

☺ მადლობას გიხდით კითხვარის შევსებისთვის. გთხოვთ, დარწმუნდეთ, რომ თავფურცელზე მონიშნული გაქვთ შესაბამისი უჯრა, რომელიც ადასტურებს თქვენს ინფორმირებულ თანხმობას კვლევაში მონაწილეობაზე ☺

National Research Centre for the Working Environment

GÖTEBORGS UNIVERSITET

Vinnueftirlitið www.vinnueftirlit.is

IRIS International Research Institute of Stavanger

Työterveyslaitos

ჩრდილოეთის ქვეყნების მინისტრთა საბჭო

nfa.dk/NOSACQ